სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები VTB Bank LIFE V1 2020 დანართი N3

1.1. **დაზღვევის საგანი** - წინამდებარე პირობები ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას დაზღვეულის (მსესხებლის) გარდაცვალების შემთხვევაში.

1.2. "**მოსარგებლე**" - პირი, რომელიც წინამდებარე პირობების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას. მოცემული პირობების და მათ საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისების მიზნებისთვის პირველად მოსარგებლეს წარმოადგენს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია, ხოლო მეორად მოსარგებლეს კი - თავად დამზღვევი/დაზღვეული;

1.3. **სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეულის გარდაცვალება. სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება და მზღვეველი არ გასცემს ანაზღაურებას თუ გარდაცვალება გამოწვეულია წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რომელიმე გამონაკლისით;

1.4. **დაზღვევის გეოგრაფიული ლიმიტი/არეალი** - წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მთელს მსოფლიოში (გამონაკლისს წარმოადგენს ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება გაეროს სანქციები);

1.5. **სადაზღვევო თანხა** - განისაზღვრება კრედიტის ოდენობის შესაბამისად;

1.6. **სადაზღვევო ანაზღაურება** - სადაზღვევო ანაზღაურება წარმოადგენს თანხის ოდენობას, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და ტოლია ამ მომენტისათვის დაზღვეულის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" (შემდგომ „ბანკი") მიმართ დარჩენილი საკრედიტო ვალდებულების მხოლოდ ძირითადი თანხისა.

1.7. **სადაზღვევო პერიოდი** - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში. წინამდებარე პირობებით სადაზღვევო პერიოდი მოქმედებს შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო პერიოდის/ვალდებულებების ამოწურვამდე.

1.8. ხელშეკრულების შეწყვეტის/გაუქმების პირობები:

- სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;
- სადაზღვევო თანხის ამოწურვა;
- თუ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სრულად დაფარვა განხორციელდა ვადაზე ადრე, იმ მომენტიდან დაზღვევა ჩაითვლება გაუქმებულად, თუკი აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიღებული აქვს მზღვეველს მოსარგებლისგან ყოველდღიური ანგარიშის სახით ან/და მოსარგებლის რეალურ გარემოში დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფიდან (LMS) ინფორმაციის გაცვლის სერვისის საფუძველზე.
- თუ სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" მიერ განხორციელდა იმ საკრედიტო ვალდებულებათა (კრედიტის)_ მოთხოვნის უფლების დათმობა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა.
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

1.9. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი:

1.9.1. ბანკი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მზღვეველს შემთხვევის (მსესხებლის გარდაცვალება) შესახებ, შეტყობინება გაუგზავნოს ბანკის მიერ შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა;

1.9.2. შეტყობინების მიწოდება ხდება საკონტაქტო პირის და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ინფორმაციის გაგზავნის მეშვეობით, წინამდებარე დანართით განსაზღვრული პირი ვალდებულია გადაამოწმოს და მიიღოს დადასტურება მზღვეველისაგან შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შესახებ;

1.9.3. ბანკი ვალდებულია, მზღვეველს დაეხმაროს შემთხვევის განსახილველად აუცილებელი დოკუმენტაციის მოძიებაში;

1.9.4. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული დამატებითი საბუთები ან/და თავად ჩაატაროს დამატებითი გამოკვლევები.

1.10. სადაზღვევო ანაზღაურებისათვის აუცილებელი პირობაა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

1.10.1. დაზღვეულის გარდაცვალების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება დაზღვეულის ასაკი და დაბადების თარიღი.

1.10.2. სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები.

1.11. მოთხოვნილი დოკუმენტაცია მზღვეველთან წარდგენილ უნდა იქნეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა.

1.12. მზღვეველი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და ამავე ვადაში დაიწყოს ანაზღაურების პროცედურა.

1.13. ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მოსარგებლზე ან/და მის მიერ სპეციალურად ამისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილ პირზე.

1.14. მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობები:

1.14.1. დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ანაზღაურებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის სრულად დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლოა გახდეს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

1.15. სიცოცხლის დაზღვევის გამონაკლისები:

1.15.1. დაზღვეულის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა, განზრახ თვითდაზიანება;

1.15.2. დაზღვეულის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა ან სხეულის დაზიანება, რომელშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ბრალი მიუძღვის დამზღვევს და/ან მოსარგებლეს;

1.15.3. დაზღვეულის მიერ ნებისმიერი სახის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ან ჩადენის მცდელობა;

1.15.4. ნებისმიერ საფრენ საშუალებაში ყოფნა, მასში შესვლა ან მისგან გამოსვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული არის რეგულარული ავიარეისის მგზავრი;

1.15.5. დაზღვეულის ფსიქიური დაავადება (დროებითი ან სხვაგვარი);

1.15.6. სადაზღვევო შემთხვევა, დამდგარი დაზღვეულის კრუნჩხვითი ან ვენერიული დაავადების შედეგად;
1.15.7. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა;
1.15.8. ავტომოტოტრანსპორტის მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან/და ტოქსიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
1.15.9. დაზღვეულის მიერ ნებაყოფლობით არააუცილებელ ხიფათში თავის ჩაგდება, გარდა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მცდელობის შემთხვევისა;
1.15.10. დაზღვეულის მონაწილეობა ქვემოთ ჩამოთვლილ სარისკო სპორტის სახეობებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდილია შესაბამისი დამატებითი სადაზღვევო პრემია): საჰაერო სპორტი, სპორტის საბრძოლო სახეობები, სპორტის ზამთრის სახეობები, ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრი (გარდა ფეხით მოძრაობისა), აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;
1.15.11. დაზღვეულის მონაწილეობა პროფესიულ სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, საჩვენებელი გამოსვლა, წვრთნა);
1.15.12. შემთხვევები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ არანებადართულ (შესაბამისი ლიცენზიის ან/და ნებართვის არქონა) ნადირობასთან;
1.15.13. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება შეიარაღებულ ფორმირებებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდილია შესაბამისი დამატებითი სადაზღვევო პრემია);
1.15.14. დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე არსებული მიზეზები (დაზღვევის მოქმედების დაწყებად არ განიხილება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველადი სადაზღვევო პერიოდის, ავტომატური განახლება);
1.15.15. შიდსი ან შიდსთან დაკავშირებული დაავადება, B და C ჰეპატიტი;
1.15.16. მაიონიზირებელი დასხივების ზემოქმედება;
1.15.17. ომი, უცხოელი აგრესორის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებები (მიუხედავად ომის გამოცხადების თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომი, აჯანყება, ბუნტი, რევოლუცია, სახალხო მღელვარება, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენება, ტერორისტული აქტები;
1.15.18. სანაძლეოს პირობების, აკრობატული ილეთების შესრულება, რეკორდის დამყარება, რეკორდის დამყარების მცდელობა ან ამისათვის მოსამზადებელი ცდები;
1.15.19. აზბესტოზის რისკების სრული გამონაკლისის პირობა;
1.15.20. დაზღვეული იყენებს საჰაერო ხომალდს (რეაქტიური ძრავით ან ძრავის გარეშე), პლანერს, კოსმოსურ ხომალდს ან პარაშუტს;
1.15.21. დაზღვეული მართავს საჰაერო ხომალდს ან წარმოადგენს ეკიპაჟის წევრს;
1.15.22. დაზღვეული მძღოლის, შტურმანის ან მგზავრის სტატუსით მონაწილეობს სატრანსპორტო საშუალების გამოცდაში, უმაღლესი სიჩქარის გამოსავლენად;
1.15.23. გარდაცვალება გამოწვეულია უშუალოდ ბირთვული ენერგიით ან მისი შედეგებით;
1.15.24. გარდაცვალება გამოწვეულია რადიაციით;
1.15.25. თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა;
1.15.26. გარდაცვალება, რომელიც გამოწვეულია ფსიქიკური რეაქციით განპირობებული პათოლოგიური მოშლილობით, განურჩევლად ფსიქიკური რეაქციის გამომწვევი მიზეზისა;

2. მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველის სახელით: ---------- **დამზღვევის სახელით:** ----------